დამტკიცებულია:
კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2025 წ. 14 თებერვალის N22“ო“ ბრძანებით

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

სარჩევი

თავი I. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი 2
მუხლი 1. ზოგადი დებულებანი 2
მუხლი 2. შუალედური შეფასების არსი, მიზანი და სამართლებრივი შედეგები 2
მუხლი 3. შუალედური შეფასების ჩატარებაზე პასუხისგება 2
მუხლი 4. შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი 2
მუხლი 5. დაშვების წინაპირობა 2
თავი II შუალედური შეფასების ფორმა, შინაარსი და შეფასების 3
სისტემა 3
მუხლი 6. შუალედური შეფასება 3
მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების ინსტრუმენტი 3
მუხლი 8. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდურობის შემოწმება 4
მუხლი 9. შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი 4
მუხლი 10. შუალედური შეფასების შედეგები 4
მუხლი 11. შუალედურ შეფასებაში განმეორებით მონაწილეობა 4
მუხლი 12. შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობები 5
მუხლი 13. შუალედური შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზანშეუწონლობა 5
თავი III. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საკვალიფიკაციო 5
გამოცდის ჩატარების წესი 5
მუხლი 13. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი 5
საკვალიფიკაციო გამოცდის კომისია 6

თავი I. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ (შემდგომში ,,კოლეჯი“) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. შუალედური შეფასების არსი, მიზანი და სამართლებრივი შედეგები

1. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და პროფესიული სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთ-ერთ მექანიზმს.
1.შუალედური შეფასების მიზანია პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის აღნიშნულზე განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.
2. შუალედური შეფასებაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის გარეშე პირი არ დაშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე;
3. ცალკეული მოდულის ფარგლებში განხორციელებული შეფასებისგან განსხვავებით, შუალედური შეფასება ერთიანობაში უყურებს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული სტუდენტის მიერ განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს.
4. ამ წესის დაცვა და შესრულება ევალება კოლეჯის სასწავლო პროგრამებში ჩართულ ყველა თანამშრომელს, პროფესიულ სტუდენტსა და დუალური პროგრამების შემთხვევაში - მონაწილე პარტნიორ სასწავლო საწარმოს/საწარმოებს.

მუხლი 3. შუალედური შეფასების ჩატარებაზე პასუხისგება

1. შუალედური შეფასების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს კოლეჯი.
შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის.
2. კოლეჯი უფლებამოსილია შუალედური შეფასების დაგეგმვასა და განხორციელებაში, თავისი შეხედულებისამებრ, ჩართოს არსებობის შემთხვევაში, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია, სხვადასხვა ასოციაცია/გაერთიანება ან/და ბიზნეს სუბიექტი.
3.კოლეჯი უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების სისტემას;

მუხლი 4. შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი

1. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;
2. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როდესაც პროფესიულ სტუდენტს გავლილი აქვს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 პროცენტისა;
3.პროფესიული სტუდენტის შეფასება მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესს და შეფასების მტკიცებულებას.

მუხლი 5. დაშვების წინაპირობა

შუალედურ შეფასებაზე დაიშვება საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებელი ჯგუფის ყველა აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი.

თავი II შუალედური შეფასების ფორმა, შინაარსი და შეფასების სისტემა

მუხლი 6. შუალედური შეფასება

1. შეფასება ეყრდნობა არსებულ შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების კრიტერიუმებს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია.
2.შუალედური შეფასების ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიფერენცირებული (ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება, თუმცა აუცილებელია, რომ შუალედური შეფასება განმავითარებელი უკუკავშირით დასრულდეს. აღნიშნული გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.
3. შუალედური შეფასების დაგეგმვას, ორგანიზებას და განხორციელებას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია (შემდგომში ,,კომისია“), რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისგან და კომპლექტდება კოლეჯის ადმინისტრაციის წევრებისა და დარგის შესაბამისი პროფესიული მასწავლებლებისგან, ხოლო დუალური პროგრამების შემთხვევაში, ასევე - პარტნიორი სასწავლო საწარმოს/საწარმოების წარმომადგენლებისგან. საჭიროების შემთხვევაში, კომისიაში შესაძლებელია შეყვანილ იქნენ დარგში არსებული დარგობრივი უნარების ორგანიზაციის, სხვადასხვა ასოციაცია/გაერთიანების ან/და ბიზნეს სუბიექტის წარმომადგენლებიც.
4. კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები.
5. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების ინსტრუმენტი

1.შუალედური შეფასების თემატიკა უნდა მოიცავდეს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობს კომპლექსურად, განვლილი თემატიკის შემაჯამებელ დავალებას/დავალებებს.
2. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:
● კომპლექსური დავალება;
● პრაქტიკული დავალება;
● პრეზენტაცია;
● პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით;
● პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია.
3. შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სსიპ კოლეჯი ,,ერქვანის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, სასწავლო პროგრამების, პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში გაწერილი შეფასების ძირითად პრინციპებს და ხორციელდება წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემით.

მუხლი 8. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდურობის შემოწმება

1. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ატარებს შესაბამის ღონისძიებებს.
2. შეფასების ინსტრუმენტი, კოლეჯის მიერ დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად, გადის ვალიდაციას.
4. პროფესიული სტუდენტის შეფასება მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესს და შეფასების მტკიცებულებას.

მუხლი 9. შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი

1. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;
2. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როდესაც პროფესიულ სტუდენტს გავლილი აქვს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 პროცენტისა;
3. შუალედური შეფასების ვადები / თარიღები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სასწვლო პროცესისა და სასწ.საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, შუალედური შეფასების ჩატარებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე.

მუხლი 10. შუალედური შეფასების შედეგები

1. შუალედურ შეფასებაზე მიღებული ქულა გავლენას არ ახდენს პროფესიული სტუდენტის სტატუსზე, ვინაიდან შუალედური შეფასება განმავითარებელია.
2. შუალედური შეფასების კრიტერიუმებისა და თარიღის შესახებ პროფესიულ სტუდენტს ინფორმაციას აწვდის პროგრამის ხელმძღვანელი/სასწავლო პროცესისა და სას. საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი შეფასების ჩატარებამდე ორი კვირით ადრე;
3. შუალედური შეფასების შედეგების ასახვა კომისიის წევრების მიერ განხორციელდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ელექტრონული პლატფორმის გამართვამდე კი შეფასების შედეგების ასახვა და შენახვა მოხდება კომისიის მიერ მატერიალურად ჯგუფის უწყისის ფორმისა და თანდართული მტკიცებულების სახით.
4. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტს ინფორმაციას აწვდის კომისია შეფასების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, ხოლო პლატფორმის გამართვამდე სასწავლო პროცესისა და სასწვლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის ან პროგრამის ხელმძღვანელის, ზეპირი უკუკავშირით.
5. დუალური პროგრამების ფარგლებში შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პარტნიორ სასწავლო საწარმოს ინფორმაციას აწვდის სასწავლო პროცესისა და სასწვლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, შეფასების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.
6. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე;
7. პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებიდან (არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შუალედური შეფასებიდან) ორი კვირის პერიოდში პროფესიულ სტუდენტებს აძლევს ინდივიდუალურ უკუკავშირს თითოეულ შეფასების კრიტერიუმთან მიმართებაში ასევე, ტესტურ დავალებასთან მიმართებაში.

მუხლი 11. შუალედურ შეფასებაში განმეორებით მონაწილეობა

1. შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა განმეორებითი შუალედური შეფასებაში მონაწილეობის უფლება;

2. განმეორებითი შეფასების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, სტუდენტთან კომუნიკაციის და შეთანხმების საფუძველზე, სასწავლო და სასწავლო-საწარმოო პროცესის მენეჯერის წარდინებით;
3. პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში 2 კვირის შემდეგ კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით ტარდება დამატებითი შუალედური შეფასება, რომელზე დაშვებასაც კოლეჯი უზრუნველყოფს საპატიო მიზეზთა არსებობის შემთხვევაში. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს: ა)ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა ფორსმაჟორული გარემოება.;
4. პროფესიულ სტუდენტი, რომელიც არ გამოცხადდება განმეორებით შუალედურ შეფასებაზე არ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე.

მუხლი 12. შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობები

1.შუალედურ შეფასებაზე დაიშვება ყველა პროფესიული სტუდენტი, რომელიც აქტიური სტატუსის მქონეა.
2. დუალური სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობაა სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.

მუხლი 13. შუალედური შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზანშეუწონლობა

კოლეჯს არ აქვს ვალდებულება, შექმნას შუალედური შეფასების შედეგების შიდა გასაჩივრების მექანიზმი. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შუალედური შეფასებისას გაიცემა განმავითარებელი უკუკავშირი. ამასთან, შუალედური შეფასება პროფესიული სტუდენტისთვის არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგებს. პროფესიული სტუდენტისთვის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობა.

თავი III. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

მუხლი 13. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

1. აღნიშნული წესის მიზანია უზრუნველყოს ერთიანი პროცედურით საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება, განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და კვალიფიკაციის მინიჭება;
2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა;
3. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება;
4. პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც გავიდნენ საკვალიფიკაციო გამოცდაზე და მიიღეს დადებითი შეფასება, კოლეჯის მიერ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, დიპლომი;
5. პროფესიული სტუდენტები, რომლებიც არ გავიდნენ განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე ან გავიდნენ და ვერ მიიღეს დადებითი შეფასება, კოლეჯის მიერ, მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცემა სერთიფაკატი/სერთიფიკატები დადასტურებული მოდულების შესაბამისად.
6. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;

7. საკვალიფიკაციო გამოცდა ინიშნება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;
8. სასწავლო პროცესის მენეჯერი ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ (პირადად, ელ.ფოსტით, შეხვედრის ორგანიზებით) და სხვა ფორმით დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;
9. შუალედური შეფასების მსგავსად, საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა უნდა მოიცავდეს მხოლოდ სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულებისას მიღწეულ სწავლის შედეგებს და ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას კოლეჯის მიერ დადგენილი წესით ან საკვალიფიკაციო კომისიის ჩართულობით;
10. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდისას კოლეჯის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს:
    - კომპლექსური დავალება;
    - პრაქტიკული დავალება;
    - პრეზენტაცია;
    - პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით;
    - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.

11. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას საკვალიფიკაციო კომისიის ჩართულობით;
12. პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში;

საკვალიფიკაციო გამოცდის კომისია

13. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობას;
14. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, სავალდებულოა კომისისაში იყოს ადმინიტრაციის წარმომადგენელი; მასწავლებელი დარგის სპეციალისტი, რომელიც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი პირის სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში და მოწვეული პირი/პირები (დამსაქმებელი, პარტნიორი ორგანიზაცია, დუო-ს წარმომადგენელი ასეთის არსებობის შემთხვევაში);
15. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი;
16. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით;
17. კომისია ირჩევს სხდომის თავჯდომარეს და მდივანს;
18. კომისიის წევრის არ გამოცხადების შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ჩანაცვლდება სხვა წევრით;
19. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;
20. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი;
21. კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;
22. კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პირი/სამსახური;

23. კომისიის კომპეტენციაა საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე შუამდგომლობით მიმართოს დირექტორს სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;
24. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა ელ.ფოსტით, პირადად, ან სხვა ფორმით;
25. ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს წერილობით გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება;
26. საჩივრის განხილვას უზრუნველყოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სააპელაციო კომისია;
27. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განიხილოს სტუდენტის საჩივარი და მიიღოს ერთ - ერთი გადაწყვეტილება:
    ა) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
    ბ) გასცეს განმეორებითი გამოცდის ჩატარების რეკომენდაცია;
28. კვლიფიკაციის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას გასაჩივრებიდან ერთი თვის ვადაში;
29. პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის და/ან საკვალიფიკაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს განმეორებითი შეფასება, რომლის ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მოთხოვნიდან არა უმეტეს 10 დღისა.
30. განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა ან საკვალიფიკაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილება საფუძველია, მოთხოვნის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტზე გაიცეს სერტიფიკატი/სერტიფიკატები იმ მოდულებში რომელიც დაადასტურა სტუდენტმა.